



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგის ანგარიში

24 იანვარი - 23 მარტი, 2022



საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუმეგობელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მეთოდოლოგია	3
ძირითადი ტენდენციები	4
საზოგადოებრივი მაუწყებელი	4
თავისუფალი ხედვა	4
დღის თემა.....	5
იმედი	6
იმედი ლაივი.....	6
რუსთავი 2	8
ღამის კურიერი	8
TV პირველი	9
რეაქცია.....	9
მთავარი არხი	10
მთავარი აქცენტები	10
ღამის მთავარი	11
დღის სტუმარი.....	11
აჭარის ტელევიზია	13
თავისუფალი სივრცე.....	13
სათქმელი	15
მთავარი აჭარაში	15

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, 2022 წლის 24 იანვრიდან 2022 წლის 23 მარტის ჩათვლით პერიოდში, დააკვირდა საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ სატელევიზიო ტოქშოუებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაშუქებას.

მონიტორინგის ფარგლებში, დაკვირვება მიმდინარეობდა 6 ტელევიზიაზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, TV პირველი, მთავარი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გაშუქება.

ტოქშოუების მედიამონიტორინგი მოიცავდა მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. თითოეული გადაცემა ფასდებოდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: იყო თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შეესაბამებოდა მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემას, სტუმრების შერჩევას ხომ არ ჩანდა მიკერძოება, როგორ მიმდინარეობდა მსჯელობა, რამდენად კარგად მართავდა დისკუსიას წამყვანი, როგორი იყო მისი კითხვები, იყო თუ არა მომზადებული, აძლევდა თუ არა იგი სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, ხომ არ იყო გამოყენებული გადაცემა სიძულვილის ენის გასავრცელებლად და, საერთო ჯამში, იღებდა თუ არა მაყურებელი რამე დამატებით ინფორმაციას მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, მონიტორები აკვირდებოდნენ:

- საარჩევნო სუბიექტებს (პარტიები, პოლიტიკოსები და დამოუკიდებელი კანდიდატები, რომლებიც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდნენ);
- მთავრობას (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის ა/რ);
- პრეზიდენტს;
- ბიძინა ივანიშვილს;
- მიხეილ სააკაშვილს.

ძირითადი ტენდენციები

- პოსტსაარჩევნო პერიოდში, წინა წლების მონიტორინგის მსგავსად, მედიაგარემო მკვეთრად იყო პოლარიზებული. მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლებისადმი იყო მიკერძოებული, მეორე კი - ოპოზიციისადმი. მიკერძოება გამოიხატებოდა მონიტორინგის სუბიექტების ნეგატიურ და პოზიტიურ გაშუქებაში.
- რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, მედია პოლარიზება უფრო გაიზარდა. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ არხებზე მთავრობა უფრო უარყოფითად შუქდებოდა, პროსახელისუფლებო არხებზე კი - დადებითად.
- წინა წლების მსგავსად, მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ კრიტიკულად განწყობილ ეროვნულ მაუწყებლებში სტუმრობაზე. ოპოზიციური პარტიები კი, ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი ტელეკომპანია „იმედში“.
- საანგარიშო პერიოდში, ტელეკომპანია „იმედის“ გზავნილები ემთხვეოდა „ქართული ოცნების“ გზავნილებს. „TV პირველსა“ და „მთავარ არხზე“ კი, იკვეთებოდა სუბიექტური დამოკიდებულება ოპოზიციური პარტიების ნაწილის მიმართ.
- წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მაქსიმალურ კომფორტს უქმნიდა მმართველ პარტიას. ხშირად ტელეკომპანია მხოლოდ ტრიბუნის ფუნქციას ასრულებდა, რომელსაც მმართველი გუნდი საკუთარი გზავნილების ტირაჟირებისთვის და სასურველ თემებზე სასაუბროდ იყენებდა.
- პოსტსაარჩევნო პერიოდში სატელევიზიო ტოქშოუებში ყველაზე აქტიურად შუქდებოდა რუსეთ-უკრაინის ომი.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

სამონიტორინგო პერიოდში, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემებს: „თავისუფალი ხედვა“ და „დღის თემა“.

თავისუფალი ხედვა

გადაცემის წამყვანი საკმაოდ მომზადებული იყო და ამჟღავნებდა სხვადასხვა საკითხების ცოდნას. მის მიერ დასმული შეკითხვები ლოგიკური და რელევანტური იყო, თუმცა, არა - კრიტიკული.

წამყვანი, ძირითადად, აქცენტს აკეთებდა გეოპოლიტიკურ საკითხებზე და მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური მეცნიერებების ჭრილიდან დანახვას ცდილობდა. ერთი მხრივ, ეს მიდგომა საინტერესოა, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ხელს არ უნდა უშლიდეს წამყვანს კრიტიკული კითხვების დასმაში, რის ნაკლებობასაც განიცდიდა გადაცემა.

მაგალითად, [15 მარტის](#) გადაცემაში წამყვანის კითხვები ეხებოდა ევროკავშირის შიგნით არსებულ გამოწვევებს და, ზოგადად, ევროინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორებს. თუმცა, წამყვანი თავის კითხვებში არ ფოკუსირდებოდა ხელისუფლების როლსა და პასუხისმგებლობაზე.

[15 თებერვლის](#) გადაცემაში კი, პირველივე საკითხი, რომელსაც წამყვანი გადაცემის სტუმართან - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილთან განიხილავდა, პრემიერ-მინისტრის ინიციატივა იყო, რომელიც სოციალურად დაუცველი 200 ათასი მოქალაქის დასაქმებას ეხებოდა. ინიციატივის მიხედვით, პროექტში ჩართვის შემთხვევაში, თუ მოქალაქე საზოგადოებრივ შრომაში ჩაერთვება, დანამატის სახით, 300 ლარს მიიღებს ყოველთვიურად, ხოლო სოციალურად დაუცველის სტატუსი და შესაბამისი პაკეტი 4 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება. ასევე, მათ კერძო სექტორში დასაქმებაც შეეძლება და სოციალური დახმარება არც ამ შემთხვევაში მოეხსნებათ მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

წამყვანი სტუმარს ეკითხებოდა, მაგალითად, თუ რას ითვალისწინებს პროექტი, რა მოლოდინები აქვს მთავრობას, რამდენად რეალისტურია 200 ათასი ადამიანის დასაქმება, მთავრობის აზრით, რამდენი ადამიანი ჩაერთვება და ა.შ. თუმცა, წამყვანს არ დაუსვამს ის მნიშვნელოვანი კრიტიკული კითხვები, რომლებიც ამ ინიციატივის მისამართით სფეროს სპეციალისტების მხრიდან ისმის. მაგალითად, თუ ადამიანი ჩაერთვება საზოგადოებრივ შრომაში, 4 წლის განმავლობაში მიიღებს ყოველთვიურად 300 ლარს, ხოლო 4 წლის თავზე მოეხსნება სოციალურად დაუცველის სტატუსი და სოციალური პაკეტი - რა მოტივაცია უნდა ჰქონდეს მას და რატომ უნდა მიიღოს პროექტში მონაწილეობა? ასევე, იმ ფონზე, რომ შრომით ბაზარზე, განსაკუთრებით მომსახურების, მშენებლობის და სხვა მსგავს სფეროებში ანაზღაურება ძალიან დაბალია, რატომ უნდა ჰქონდეს ადამიანს მოტივაცია, დასაქმდეს კერძო სექტორში, როცა შანსი იმისა, რომ მისი ხელფასი (მგზავრობის და სხვა ხარჯების გათვალისწინებით) შესაძლოა უდრიდეს, ან რიგ შემთხვევაში ნაკლებიც კი იყოს, სოციალურ შემწეობაზე?

აღსანიშნავია, რომ გადაცემას, ძირითადად, მმართველი გუნდის წევრები სტუმრობდნენ, რომლებიც ცალკე ბლოკში იყვნენ წარმოდგენილნი.

დღის თემა

გადაცემის წამყვანს ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდა ყველა რესპონდენტის

მიმართ. ცდილობდა, დაესვა რელევანტური კითხვები, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ხელთ არ ჰქონდა საკმარისი ფაქტები და კონტრარგუმენტები თემების სიღრმისეულად განსახილველად და კრიტიკული მსჯელობის განსავითარებლად.

მაგალითად, [10 მარტის](#) გადაცემაში წამყვანმა ხელისუფლების წარმომადგენელს საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მასობრივი შემოსვლის შესახებ დაუსვა კითხვა. სტუმარმა უპასუხა, რომ ამ მხრივ წინა წლებისგან განსხვავებული არაფერი ხდება. წამყვანმა კი ოპონირება ვერ გაუწია და შესაბამისი ფაქტებისა და არგუმენტების დაპირისპირება ვერ შეძლო.

დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც წამყვანმა საკუთარი ინტერპრეტაცია ფაქტად წარმოაჩინა. მაგალითად, [10 თებერვლის](#) გადაცემაში მან გადაცემის სტუმარს - პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ გიორგი ვაშაძეს ჰკითხა: „ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია გთავაზობთ გაერთიანებას მათი ქოლგის ქვეშ (ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“). გიგი უგულავას იდეაა, რომ თქვენი იდენტობა უნდა დაკარგოთ, მაგრამ თქვენი დღის წესრიგი უნდა წარმოაჩინოთ. რატომ არის ეს იდეა თქვენთვის მიუღებელი?“ გიგი უგულავას საჯაროდ მსგავსი იდეა არ გაუჟღერებია, რომ „პარტიებმა თავიანთი იდენტობა უნდა დაკარგონ“. რესპონდენტმაც მიუთითა წამყვანს, რომ მან არასწორი ინტერპრეტაცია გააკეთა.

გადაცემაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები და აზრთა მრავალფეროვნება მეტ-ნაკლებად წარმოდგენილი იყო. თუმცა, გადაცემაში ტენდენციური ხასიათი ჰქონდა ჯერ ოპოზიციის ჩართვას და შემდეგ - ხელისუფლების. შესაბამისად, მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, რომ ე.წ. „ბოლო სიტყვა“ ეთქვათ და პასუხი გაეცათ ოპონენტის ბრალდებებისთვის.

იმედი

წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორები ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში აკვირდებოდნენ გადაცემას - „იმედი LIVE“.

იმედი ლაივი

„იმედი LIVE-ის“ გადაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ წამყვანები, წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, „ქართული ოცნების“ პიარკამპანიას ეწეოდნენ და, ამის საპირისპიროდ, ოპოზიციისა და საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აგრესიულ ანტიპიარს.

წამყვანების მიერ გაკეთებული შეფასებები ეფუძნებოდა არა ანალიზს, არამედ - ირონიას, ცინიზმსა და შეურაცხყოფას.

მაგალითად, [17 მარტის](#) გადაცემაში ერთ-ერთმა წამყვანმა, გიორგი ფუტყარაძემ ირონიით თქვა: „დღეს პარლამენტში ისიც გავიგეთ, რომ „ლელო“ პატრიოტიზმის გაკვეთილებს საჭიროებს. პარლამენტის ტრიბუნიდან ანა ნაცვლიშვილის გამოსვლა მოვისმინეთ, რომელიც ირწმუნება, რომ ეს გაკვეთილი საქართველოში პრეზიდენტმა ზელენსკიმ უნდა ჩაატაროს. როგორც ჩანს, „ლელოში“ პატრიოტები ვერ მოძებნეს და პირდაპირ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაიწყეს ძიება“. ([5:58](#))

გადაცემაში უმეტესად „ქართულ ოცნების“ წევრებსა და მათთან აფილირებულ პირებს იწვევდნენ სტუმრად. ოპოზიციის წარმომადგენლებს კი არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, რომ პასუხი გაეცათ მათი მისამართით გაჟღერებული ბრალდებებისთვის.

გადაცემის წამყვანები შემოიფარგლებოდნენ ზედაპირული კითხვებით. მაგალითად, 6 თებერვლის გადაცემაში წამყვანმა მსგავსი ფორმულირებით დაუსვა კითხვა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძეს, ნუგზარ ფუტყარაძის საკითხთან დაკავშირებით: „რაც შეეხება კიდევ ერთ საკითხს, არჩევნები დადგა დღის წესრიგში მას შემდეგ, როცა გარდაიცვალა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ნუგზარ ფუტყარაძე. ამის შემდგომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, თუ სწორად მახსოვს, არაერთი მძიმე ბრალდება გააჟღერეს. „ქართულ ოცნებას“ და მათ შორის თქვენ გადანაშაულებდნენ, რომ ზეწოლას ახდენდით ამ კანდიდატზე, ამ ადამიანმა ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა ნერვიულობის გამო, ასეთი იყო ის ბრალდებები, რომელიც ჩვენ გვესმოდა მანამდე. რას ელით ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან ამ ეტაპზე?“ ([14:55](#))

გადაცემის წამყვანები არ სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და ნაკლებად შედიოდნენ სტუმრებთან დისკუსიაში. წამყვანებისა და რესპონდენტების საუბარს უფრო თანამოაზრეთა დიალოგის ფორმა ჰქონდა, და არა დებატების ან დისკუსიის ფორმატი.

წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, გადაცემებში მიწვეულნი იყვნენ „ქართული ოცნების“ მიმართ დადებითად განწყობილი მსახიობები, რეჟისორები და კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენლები. ისინი ღიად უჭერდნენ მხარს მმართველ პარტიას.

მაგალითად, 6 მარტის გადაცემაში რეჟისორმა ბაკურ ბაკურაძემ თქვა: „მიუხედავად იმისა, რომ მე „ოცნების“ მხარდამჭერი ვარ და ეს ყველამ იცის, არ გამოვირჩევი ხოტბა-დიდებების შესხმით, მათ შორის ჩემი მეგობრებისა, რომლებიც არიან „ოცნებაში“ და არიან ბევრნი. მე მართლა მიხდა მადლობა გადავუხადო ჩემს პრემიერს, ჩემს ხელისუფლებას, პარლამენტის თავმჯდომარეს, „ოცნების“ ლიდერს - ირაკლის, საქართველოს პრეზიდენტს, რომლებიც აბსოლუტურად დაბალანსებულ პოლიტიკას აწარმოებენ იმ ურთულეს პერიოდში, რის შესახებაც ჩვენ არ ვიცით და არც უნდა ვიცოდეთ“ ([07:29](#)).

5 მარტის გადაცემაში კი, მსახიობმა ლელა ალიბეგაშვილმა თქვა: „მე ძალიან მომწონს

ჩვენი პრემიერი, მგონი ასეთი კარგი პრემიერი ჩვენ არ გვყოლია“ ([44:52](#)).

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, „იმედი LIVE“ ეთერში გადიოდა თითქმის ყოველდღე, სპეციალურ რეჟიმში. მთავარი თემა რუსეთ-უკრაინის ომი იყო, პარალელურად კი, წამყვანები სტუმრებთან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს განიხილავდნენ.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, გადაცემაში როგორც რესპონდენტებისგან, ისე წამყვანებისგან ისმოდა შემდეგი გზავნილები:

- „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, საკუთარ თავზე მიიწეროს საზოგადოების გულწრფელი პროტესტი და დაიწეროს ქულები;
- „ნაციონალური მოძრაობა“ არის ომის პარტია და ცდილობს ომი დაიწყოს საქართველოში;
- მმართველი გუნდი მაქსიმალურად ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს, რათა ქვეყანა არჩაერთოს სამხედრო კონფლიქტში;
- საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს უკრაინის მხარდასაჭერად და ეხმარება მას როგორც ფინანსურად, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით;
- „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ლობისტებისთვის 1,5 მილიონი დოლარი გამოყო, რათა საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება „ქართული ოცნების“ პირობებში არ მოხდეს და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ქვეყანას ხელი შეემალოს.

რუსთავი 2

საანგარიშო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას - „ღამის კურიერი“.

„ღამის კურიერი“

„ღამის კურიერს“ სტუმრობდნენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. თუმცა, წინასწარჩვენო პერიოდის მსგავსად, „ქართული ოცნება“ გადაცემას საკუთარი მოსაზრებების გასაქლერებელ პლატფორმად იყენებდა.

ტენდენციური ხასიათი ჰქონდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ბოლო სტუმრად მიწვევას, რაც მმართველ გუნდს უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა. გარდა ამისა, ფაქტობრივად, არ ისმოდა კრიტიკული კითხვები ხელისუფლების მიმართ.

მაგალითად, [23 თებერვლის](#) გადაცემაში პრემიერ-მინისტრს მიეცა შესაძლებლობა, თავისუფლად ესაუბრა, ერთი მხრივ, საკუთარ და მმართველი გუნდის წარმატებებზე,

მეორე მხრივ კი, საგარეო პოლიტიკაზე - რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დათბობის მნიშვნელობაზე, უკრაინაში ომის არდაწყების აუცილებლობაზე და ა.შ. ფაქტობრივად, პრემიერ-მინისტრი მონოლოგის რეჟიმში უწყვეტად საუბრობდა მმართველი გუნდის გეგმებზე, ქვეყნის აღმშენებლობაზე, საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე და ა.შ.

წამყვანს არ ჰქონია რეაგირება მაშინაც კი, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ „ომიკრონის შემთხვევაში უმეტესად ვაქცინა არ მუშაობს და ვაქცინირებულ პირს ჩვეულებრივ, ემართება ომიკრონი“. მაშინ, როდესაც მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების ფონზე, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები მოქალაქეებს მოუწოდებდნენ, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგოდ "ბუსტერ" დოზა გაეკეთებინათ.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, „ღამის კურიერის“ 2 გადაცემა ომის საკითხს დაეთმო. [2 მარტის გადაცემაში](#) „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს მიეცა საშუალება უაპელაციოდ გავრცელებინა თავისი მოსაზრებები. წამყვანს არ დაუსვამს კრიტიკული კითხვები ირაკლი კობახიძისთვის. ასევე, არ უხსენებია, ხელისუფლების მიერ გავრცელებული სადავო განცხადებები ომთან დაკავშირებით.

2 მარტის შემდეგ „ღამის კურიერი“ ეთერში აღარ გასულა. ამის ნაცვლად რუსეთ-უკრაინის ომს ეთმობოდა დრო გადაცემა „კურიერი PS-ში“.

TV პირველი

წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორები „TV პირველის“ ეთერში აკვირდებოდნენ გადაცემას - „რეაქცია“.

რეაქცია

გადაცემა მიმდინარე, აქტუალური თემების შესახებ აწვდიდა ინფორმაციას მაყურებელს. გადაცემაში, ძირითადად, მონაწილეობს იღებდნენ ოპოზიციის წევრები. „ქართული ოცნების“ პოზიციებს კი, წამყვანი ზოგჯერ ცალკეული ციტატების სახით აჟღერებდა.

მმართველი პარტია უარს ამბობს კრიტიკულ ტელევიზიებში მისვლაზე. თუმცა, ამ საკითხზე განმარტება წამყვანის მხრიდან ხშირად არ კეთდებოდა.

წამყვანი კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ, ოპოზიციასთან კი, ნაკლებად კრიტიკულ კითხვებს სვამდა. გამონაკლისი იყო ოპოზიციური პარტია „საქართველოსთვის“. წამყვანი [1 მარტის](#) გადაცემაში, ყოფილი პრემიერ-მინისტრის და პარტია „საქართველოსთვის“ დამფუძნებლის - გიორგი გახარიას მიმართ

კრიტიკულობით გამოირჩეოდა.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, გადაცემები ომის საკითხს ეთმობოდა.

წინა სამონიტორინგო პერიოდის მსგავსად, გადაცემაში, ფაქტობრივად, არ იყო დისკუსია. 24 თებერვლის გადაცემაში დისკუსიის მცდელობა ჰქონდა პარტია „ევროპული საქართველოს“ ლიდერ გიგა ბოკერიას, რომელმაც, „ქართულ ოცნებასთან“ მოლაპარაკების მცდელობისთვის, გააკრიტიკა იმავე სტუდიაში მყოფი „ლელო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. გადაცემის წამყვანებმა გიგა ბოკერიას დისკუსიის გამართვის საშუალება არ მისცეს და შემდეგი ფრაზებით აწყვეტინებდნენ მას:

- „დღეს, მე მგონი, არ არის პარტიული დაპირისპირების დრო“ ([44:05](#))

- „გიგა, არ გვინდა ახლა...“ ([44:25](#))

თუმცა, გაუგებარი დარჩა, რატომ არ იყო დისკუსიის დრო, მაშინ, როდესაც ამ საკითხზე არსებობდა განსხვავებული პოზიცია, მათ შორის ოპოზიციის შიგნით. გარდა ამისა, ოპოზიციას დისკუსიამდე ჰქონდა მცდელობა, პარლამენტი უკრაინის ომის თემაზე სამსჯელოდ შეეკრიბა და პოზიცია დაეფიქსირებინა.

წამყვანი ხშირად სვამდა შეკითხვებს და თავადვე აკეთებდა შეფასებებს, აკრიტიკებდა ხელისუფლებას და ღიად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციებს.

მთავარი არხი

საანგარიშო პერიოდში „მთავარ არხზე“ მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემებს - „მთავარი აქცენტები“, „დღის სტუმარი“ და „ღამის მთავარი“.

მთავარი აქცენტები

პოლიტიკური პარტიებიდან, ტოქშოუს მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წევრები სტუმრობდნენ. გადაცემების თემები მიმდინარე, აქტუალური მოვლენების შესაბამისად იყო შერჩეული. ტენდენციური ხასიათი ჰქონდა ოპოზიციის - დადებით, ხოლო ხელისუფლების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას.

წამყვანი ხშირად პოზიციონირებდა როგორც მხარე, არ ინარჩუნებდა ნეიტრალურ ტონს, მიკერძოებული იყო ოპოზიციის მიმართ და ღიად აფიქსირებდა თავის პოზიციებს. ხშირად საუბრობდა არაეთიკური, შეურაცხმყოფელი ლექსიკით და აჟღერებდა დაუსაბუთებელ ბრალდებებს.

25 თებერვლის გადაცემაში ნიკა გვარამია ხელისუფლებას სამარცხვინოს, თავის

მომჭრელს უწოდებს, აკრიტიკებს ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას და მსგავსი სიტყვებით მიმართავს:

„სულ ისეთი იდიოტები რომ არ ხართ, რომ თქვათ, რომ ომი კარგია, ეს ვიცით, მაგრამ მხოლოდ ესეთი იდიოტები არ ხართ. ამის იქით რა საზღვრებიც არსებობს იდიოტიზმის, სამშობლოს ინტერესების ღალატის, უფარგლო, უკიდევანო ცივილიზაციის ღალატის, ეს საზღვრები თქვენთვის გადალახულია...“ ([23:23](#))

ამავე გადაცემაში ხშირად ისმოდა არაეთიკური შეფასებები სტუმრების მხრიდანაც, რაზეც წამყვანს არ ჰქონდა რეაგირება. მაგალითად, ასე ახასიათებდა გუბაზ სანიკიძე ბიძინა ივანიშვილს: „აქ გვყავს სოვდაგარი, ნაძირალა, ვირთხა ბიძინა“ ([1:33:15](#)).

წინა მონიტორინგების მსგავსად, აშკარა იყო დადებითი განწყობა ოპოზიციის, განსაკუთრებით კი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის მიმართ. გადაცემა ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მისი ძირითადი მიზანი ოპოზიციის პოზიციების გაძლიერება და მმართველი პოლიტიკური ძალის ნეგატიურად წარმოჩენა იყო, და არა მაყურებლის პატივისცემა: მიიღოს ზუსტი, ამომწურავი და მრავალმხრივი ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებზე.

გადაცემაში ხშირად ისმოდა გზავნილები ხელისუფლების შეცვლის საჭიროებაზე. მაგალითად, 6 მარტის გადაცემაში წამყვანმა თქვა: „გაერკვიეთ საკუთარ ხელისუფლებასთან - ამას გვეუბნებიან უკრაინელები, ამას გვეუბნებიან ამერიკელები, ევროპელები და სხვები. ჩვენი ბოდიშები არავის არ სჭირდება, სამყაროს დღეს ცრემლების არ სჯერა, არც ბოდიშების არ სჯერა... სახელმწიფოს პოზიციას გამოხატავს ხელისუფლება. ამიტომაც. ქართველებო, გავერკვიოთ საკუთარ ხელისუფლებასთან. ხელისუფლებასთან, რომელიც, რამდენიც არ უნდა ვიდგეთ რუსთაველზე, ვაჭრობს რუსეთთან და არღვევს მსოფლიოს მიერ დაწესებულ სანქციებს“... ([03:35](#)) „მე ჩემი ხელისუფლება უნდა შევცვალო, რომ ბოდიში მოსახდელი არც მე მქონდეს, არც ჩემს შვილებს და არც ჩემს ისტორიულ მომავალს, რომელიც, ალბათ, არ მაქვს. იმიტომ, რომ რუსეთია დღეს საქართველო“ ([10:20](#)).

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, გადაცემა სპეციალურ რეჟიმში გადიოდა ეთერში. გადაცემის სტუმრები, ძირითადად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და სხვადასხვა სფეროს ექსპერტები იყვნენ.

ღამის მთავარი

გადაცემა ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური თემების შესახებ აწვდიდა ინფორმაციას მაყურებელს. წამყვანი ცდილობდა, ოპოზიციის წარმომადგენლებთან, ანალიტიკოსებთან და საზოგადოების წევრებთან ერთად განეხილა პრობლემური

საკითხები. წამყვანი, ძირითადად, მომზადებული იყო გადაცემისთვის, კარგად იცნობდა მიმდინარე საკითხებს და შეეძლო არგუმენტირებული მსჯელობა.

გადაცემაში ისმოდა ბრალდებები მმართველი პარტიის ქმედებების მიმართ, თუმცა, მათ პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ ჰქონიათ, რადგან არ მონაწილეობდნენ გადაცემაში. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი არ განმარტავდა, რატომ არ იყო წარმოდგენილი „ქართული ოცნება“ გადაცემაში, ცნობილია, რომ მმართველი პარტია უარს აცხადებს მონაწილეობა მიიღოს კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების ტოქშოუებში.

გადაცემის წამყვანი აფიქსირებდა სუბიექტურ, მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებებს მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ. ასევე, ღიად აფიქსირებდა საკუთარ დადებით დამოკიდებულებას საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

მაგალითად, 22 თებერვლის გადაცემაში წამყვანი ამბობდა: „რაც მთავარია, სააკაშვილი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ადამიანია, რომელიც პირველად დაუპირისპირდა რუსეთს და პირველად განჭვრიტა მან, თუ რა პრობლემას შეუქმნიდა რუსეთი დასავლეთს. მისი რევიზიონისტული პოლიტიკა მთლიანად იწინასწარმეტყველა, როგორ განავითარებდა თავის პოლიტიკას პუტინი. ეს ადამიანი არის დღეს ციხეში. ის რომ დღეს გარეთ იყოს, იქნებოდა ყველაზე მოთხოვნადი ექსპერტი ყველა საერთაშორისო მედიაში და მუდმივად იქნებოდა სატელევიზიო ეკრანებზე, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მისი დრო ჯერ კიდევ წინ არის. მთავარია, ჯანმრთელად იყოს და ჯანმრთელობა არ დაიზიანოს შეუქცევადად. ის დრო ჯერ კიდევ წინ არის, როდესაც სააკაშვილი და მისი ხედვა ძალიან დაფასდება, დაფასდება დასავლეთში და, იმედია, ამ ქვეყანაშიც“ ([2:10:17](#)).

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, გადაცემა ფოკუსირებული იყო ომის საკითხზე.

დღის სტუმარი

პოლიტიკური პარტიებიდან, ტოქშოუს მხოლოდ ოპოზიციის წევრები სტუმრობდნენ. წამყვანი ხშირად პოზიციონირებდა როგორც მხარე, არ ინარჩუნებდა ნეიტრალურ ტონს და ღიად აფიქსირებდა თავის დამოკიდებულებას/შეხედულებას/მხარდაჭერას. ყველა გადაცემას თან სდევდა წარწერა #თავისუფლებამიშას.

გადაცემის თემები ხშირად გამომდინარეობდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან. ძირითადად, ფოკუსირდებოდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე, საქართველოს საგარეო ურთიერთობებსა და უკრაინაში მიმდინარე ომზე.

გადაცემის სტუმრები ცალ-ცალკე, ინტერვიუს ფორმატში იყვნენ ჩაწერილნი. რესპონდენტები, ძირითადად, ერთი შეხედულებისანი იყვნენ, შესაბამისად, გადაცემაში ნაკლებად ისმოდა განსხვავებული აზრი.

ზოგიერთ შემთხვევაში, გადაცემა ემსგავსებოდა თავისუფალ ტრიბუნას ოპოზიციისთვის. მაგალითად, [22 თებერვალს](#), გადაცემაში გიგი უგულავა 10 წუთის განმავლობაში მონოლოგის რეჟიმში საუბრობდა და წამყვანი, ფაქტობრივად, არ აწყვეტინებდა.

გადაცემების უმრავლესობაში ბალანსი დაცული არ იყო. წამყვანები არ აკეთებდნენ განმარტებას იმის შესახებ, თუ რატომ არ აშუქებდნენ მმართველი გუნდის პოზიციას, არ ამბობდნენ მიიწვიეს თუ არა სტუდიაში ხელისუფლების წევრები. შესაბამისად, ბრალდებების მხარეს, ძირითადად, არ ჰქონდა გადაცემაში აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და არც წამყვანი აფიქსირებდა მათ პოზიციას სიტყვიერად.

მაგალითად, [7 თებერვლის](#) გადაცემაში, წამყვანმა გააშუქა მხოლოდ ბელარუსის პრეზიდენტის ინტერვიუდან ამონარიდი, რომელიც ეხებოდა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების შესაძლებლობას. გადაცემის ეთერში გასვლის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხი ამ ინტერვიუსთან დაკავშირებით უკვე ცნობილი იყო. თუმცა, ჟურნალისტმა უწყების ოფიციალური პასუხი ეთერში არ გააშუქა და ცალმხრივად მიაწოდა ინფორმაცია მაყურებელს.

მონიტორინგის პერიოდი უკრაინაში ომის დაწყებას დაემთხვა. თავდაპირველად უკრაინის თემა ადგილობრივ კონტექსტში შუქდებოდა და დიდი დრო ეთმობოდა მიხეილ სააკაშვილს ამ თემასთან მიმართებაში. ომის დაწყების შემდეგ კი, გადაცემა უშუალოდ ომთან დაკავშირებული მოვლენებზე ფოკუსირებას და გაანალიზებას ცდილობდა. გადაცემებში იკლო პოლიტიკოსების რაოდენობამ და უმეტესად, რესპონდენტებად სხვადასხვა სფეროს ექსპერტები გვევლინებოდნენ.

პირველი მარტიდან 14 მარტამდე პერიოდში გადაცემა გავიდა მხოლოდ ორჯერ, ამ პერიოდში მის ნაცვლად გადიოდა გადაცემა - „უკრაინა დღეს“

აჭარის ტელევიზია

საანგარიშო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ აჭარის ტელევიზიის შემდეგ გადაცემებს: „თავისუფალი სივრცე“, „სათქმელი“ და „მთავარი აჭარაში“.

თავისუფალი სივრცე

გადაცემაში სამონიტორინგო სუბიექტები შედარებით ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი. გადაცემას სტუმრობდნენ როგორც მმართველი გუნდის, ისე

ოპოზიციის წევრები.

წინასაარჩევნო მონიტორინგის მსგავსად, წამყვანი მმართველი პარტიის წარმომადგენლებს კვლავ კომფორტის ზონას უქმნიდა, ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ კი, კრიტიკით გამოირჩეოდა.

მაგალითად, [23 მარტის](#) გადაცემის სტუმრები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იყვნენ. გადაცემა, რომელიც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დებატად იყო დაანონსებული, წამყვანს „ჰარდ თოქის“ ფორმატში მიჰყავდა, თუმცა ყველა კრიტიკული, დამაზუსტებელი შეკითხვა მხოლოდ ერთ სტუმარს, ოპოზიციის წარმომადგენელ ნონა მამულაშვილს მიემართებოდა. ამის საპირისპიროდ, წამყვანს, ფაქტობრივად, არც ერთი კრიტიკული კითხვა არ დაუსვამს მმართველი პარტიის წარმომადგენლის - ვლადიმერ ბოჭაძისთვის.

წამყვანმა გადაცემა გრიგოლ ვაშაძის კომენტარით გახსნა და პირველივე კრიტიკული კითხვა ოპოზიციის წევრს დაუსვა: „თქვენი მხრიდან და ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან, ბატონ სააკაშვილს ვგულისხმობ, თავის დროზე, შეცდომა იყო, რომ გრიგოლ ვაშაძე იყო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტობის კანდიდატი, თქვენი პარტიის თავმჯდომარე? სამივე შემთხვევაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაუშვა კატასტროფული შეცდომა?“

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელს კი, გრიგოლ ვაშაძის განცხადების შეაფასება სთხოვა: „რას ფიქრობთ ვაშაძის განცხადებაზე?“

იმ ფონზე, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომის საკითხზე საზოგადოებაში პროტესტი და პასუხგაუცემელი კითხვები არსებობდა ხელისუფლების წევრების მიერ დაფიქსირებული პოზიციების და განცხადებების მიმართ, გადაცემის წამყვანი აქცენტს აკეთებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდზე და არაერთი კრიტიკული, დამაზუსტებელი კითხვა მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ გაუჩნდა:

„იმ ფონზე, რომ ახლა სანქციებს ითხოვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 2008 წლის მერე რატომ მოხსნეს სავიზო მიმოსვლა რუსეთთან? (14:20)

„რატომ გააუქმეთ უვიზო მიმოსვლა?“ (16:18)

„2012 წელს რატომ შემოღებოდა რუსები ასე?“ (18:00)

„თქვენ ამაზე არ გაქვთ პასუხი? რატომ გაუხსენით საზღვრები რუსებს?“ (18:21)

რატომ გადაეცა ჰესები რუსებს მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს? (25:09)

„გადაეცით თუ არა ჰესები, ქალბატონო ნონა?“ (26:23)

„გადაეცით თუ არ გადაეცით?“ (28:40)

„ქართული ოცნების“ წევრთან კი, ჰესების საკითხზე, წამყვანი ამ კითხვით შემოიფარგლა: „ანუ, ჭორი არის, ბატონო ლადო, ეს, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადასცა რუსებს ჰესები?“ (29:02)

მმართველი პარტიის წარმომადგენლის მიმართ კრიტიკული კითხვები არ ისმოდა არც [7 თებერვლის](#) გადაცემაში. შუალედურ არჩევნებზე საუბრისას, წამყვანს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძისთვის არ დაუსვამს კითხვა ბათუმის საკრებულოს გარდაცვლილ წევრზე, რომელზე ზეწოლაშიც ოპოზიცია მმართველ პარტიას ადანაშაულებდა. გადაცემის პირველ ნაწილში აჭარის მთავრობის ხელმძღვანელს მიეცა შესაძლებლობა, რომ თავისუფლად ესაუბრა დაგეგმილ პროექტებზე. მეორე ნაწილში კი - კრიტიკულ ჭრილში, აქცენტი „ნაციონალური მოძრაობის“ სამოქმედო სტრატეგიების განხილვაზე გაკეთდა.

სათქმელი

ტოქშოუს თემები ყოველთვის აქტუალური იყო. თუმცა, გადაცემაში სამონიტორინგო სუბიექტები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი.

წამყვანი ავლენდა თემის ცოდნის მაღალ დონეს, იყო მომზადებული და მიუკერძოებელი.

თუ რომელიმე რესპონდენტი ცდილობდა, კითხვისთვის თავი აერიდებინა და სხვა თემაზე გადასულიყო, წამყვანი უმეორებდა, რომ საჭიროა კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. ასევე, თუ რომელიმე მხარე უარს ამბობდა ეთერში სტუმრობაზე, წამყვანი მაყურებელს ამის შესახებ ინფორმაციას გადაცემის დასაწყისშივე აწვდიდა. გადაცემის მსვლელობისას კი, ცდილობდა, თავად გაეჟღერებინა მეორე მხარის პოზიცია.

მთავარი აჭარაში

გადაცემაში ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი სამონიტორინგო სუბიექტები. ტოქშოუს თემები ყოველთვის აქტუალური იყო და, ძირითადად, ქვეყანაში ანდა რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა.

წამყვანი იყო მომზადებული და ავლენდა თემის ცოდნის მაღალ დონეს. არ გამოკვეთილა რესპონდენტების მიმართ აშკარად დადებითი ან უარყოფითი განწყობა.

იყო შემთხვევები, როდესაც სტუმრების საუბარი ქაოტური ხდებოდა და წამყვანი ვერ ახერხებდა გადაცემის სრულყოფილად მართვას და სხვა რესპონდენტთან კითხვით გადასვლას.

გადაცემაში წამყვანის მხრიდან არ დაფიქსირებულა არაეთიკური ქცევის ან დისკრიმინაციის ფაქტი. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც [15 თებერვლის](#) გადაცემაში, ერთ-ერთმა რესპონდენტმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, პოლიციელების მიმართ დამაკნინებელი, სტერეოტიპული ფრაზა თქვა: „ბატონი ჩიქოვანისთვის წერილის გაგზავნა, მასზე პასუხის მიღება, ქალაქის მართვა, ზოგადად, არის დესტრუქცია. ის არის სოდის, უშიშროების თანამშრომელი, მას არანაირი გამოცდილება არ აქვს ქალაქის მართვის, ის არ არის საჯარო მოხელე, ის არის პოლიციელი. მას ტვინი, ბოდიში ამ გამოთქმისთვის, აქვს პოლიციელის“. მსგავსმა ფრაზამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს პოლიციელების მიმართ სტერეოტიპული განწყობების გაღრმავებას. წამყვანს კი რესპონდენტის გამონათქვამზე რეაქცია არ ჰქონია და არც გამიჯვნია მის ამ შეფასებას. ([27:55](#))

